ქალაქ ბათუმის საკრებულოს

დადგენილება №44

2018 წლის 29 მაისი

ქ. ბათუმი

„თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, 06/03/2013, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.132. 016155) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დადგინდეს თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე პარკომეტრებით აღჭურვილი პარკირების საერთო ადგილებით (გარდა „თბილისის მოედნისა“) სარგებლობისათვის საფასური დროის შემდეგი მონაკვეთების მიხედვით:

ა) 1 საათამდე პერიოდი – 50 (ორმოცდაათი) თეთრი;

ბ) 2 საათამდე პერიოდი – 1 (ერთი) ლარი;

გ) ყოველი შემდეგი 01 (ერთი) საათი – 1 (ერთი) ლარი.“.

ბ) დადგენილების „4^2“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4^2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე თბილისის მოედანზე გამოიყოს 6 (ექვსი) ერთეული ადგილი მსუბუქი ტაქსის პარკირებისათვის და დადგინდეს მათთვის პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასური 5 (ხუთი) ლარის ოდენობით დღის განმავლობაში.“.

გ) დადგენილებას 4^2 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „4^3“ პუნქტი:

„4^3. დადგენილების 4^1 და 4^2 პუნქტებზე არ ვრცელდება ამავე დადგენილების მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**